


ფილამწყობი



სახელწოდება: ფილამწყობი

სარეგისტრაციო ნომერი: 07304-პ

პროფესიული კვალიფიკაციის დონე ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით: მესამე

მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: ფილამწყობის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

საკანონმდებლო ბაზა:

- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- ფილამწყობის პროფესიული სტანდარტი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება; პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს სამშენებლო კომპანიაში, ნებისმიერი ტიპის ორგანიზაციაში, რომელიც აწარმოებს სხვადასხვა ზედაპირების ფილებით მოპირკეთებას. შესაძლებელია იყოს თვითდასაქმებული.

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მისცეს პირს შესაძლებლობა დაეუფლოს ფილამწყობის სპეციალობისათვის საჭირო ცოდნას, გამოიმუშაოს შესაბამისი უნარები და კომპეტენციები. შეძლოს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. იყოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტი.

სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- გარემოს ორგანიზება სამუშაოების საწარმოებლად
- კედლის და იატაკის ზედაპირების მომზადება ფილებით მოსაპირკეთებლად
- ფილის დამუშავება
- ზედაპირის მოპირკეთება ფილებით და მოზაიკით

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- მოცულობა: 99კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 18 სასწავლო თვე

პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

სავალდებულო ზოგადი მოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი მოდული/მოდულები	
დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
კომუნიკაცია	2	გაცნობითი პრაქტიკა-ფილამწყობი	2	მარტივი მოზაიკური პანოების აწყობა	3
რაოდენობრივი წიგნიერება	2	საწარმოო პრაქტიკა-ფილამწყობი	8	სვეტების მოპირკეთება	3

საინფორმაციო ტექნოლოგიები	2	პრაქტიკული პროექტი-ფილათმწყობი	5	საფეხმავლო ბილიკების მოწყობა	3
მეწარმეობა	4	შრომის დაცვა და უსაფრთხოების ტექნიკა ფილათმწყობისთვის	1	პროფესიული თიკის და ეტიკეტის ნორმების დაცვა	2
პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები	1	სამშენებლო ნახაზების წაკითხვა და გაანგარიშება ფილათმწყობისთვის	5	სერვის პლიუსი	2
უცხოური ენა	4	ზედაპირის ფილებით მოპირკეთებისათვის საჭირო მასალები და ნაზავების მომზადება	5	პირველადი გადაუდებელი დახმარება	2
ქართული ენა A2	15	ფილის დამუშავება	4		
სამოქალაქო განათლება	2	კედლის მომზადება ფილებით მოპირკეთებისათვის	6		
		კედლის მოპირკეთება ფილებით	5		
		იატაკის მოზადება ფილებით მოპირკეთებისათვის	4		
		იატაკის ზედაპირის მოპირკეთება ფილებით	4		
		ზედაპირის მოპირკეთება მოზაიკური ფილებით	3		
სულ:	32	სულ:	52	სულ:	15

პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება:

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
 - ა) სწავლის შედეგი დადასტურდა

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა

4. განსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.
5. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „აისი“ პრეროგატივას. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები. კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით შექმნილი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი კომისია პროფესიულ სტუდენტთა მიერ სასწავლო მოდულებში მიღებული შედეგების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტებისთვის კვალიფიკაციის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ, რის თაობაზე დგება კომისიის ოქმი.